კვლევის დასაწყისი: ლიტერატურის მიმოხილვა

ალან ბრაიმანი. 2012. სოციალური კვლევის მეთოდები. ოქსფორდი, მეოთხე გამოცემა

თავის ანოტაცია

წარმოდგენილი თავის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწყონ თავიანთი კვლევითი პროექტი. მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ თქვენი კვლევის კითხვებს, უნდა მოიძიოთ თქვენს საკვლევ თემაზე რელევანტური ლიტერატურა, მიმოიხილოთ ის და დაწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევის ამ ადრეულ ეტაპზე პრინციპული დავალება არის თქვენი კვლევის ინტერესების არეალის შესახებ სხვადასხვა იდეებისა და კვლევების მიმოხილვა. ეს ქმნის ლიტერატურის მიმოხილვის საფუძვლებს, რაც თქვენი ნაშრომის (სადიპლომო თუ სხვა სახის) მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ეს თავი ასწავლის სტუდენტებს, როგორ მოიძიონ ლიტერატურა და კრიტიკულად განიხილონ სხვა ავტორები. ეს თავი ასევე დაგეხმარებათ გაიგოთ, თუ რა მოლოდინები არსებობს ლიტერატურის მიმოხილვის მიმართ და როგორ შეფასდება კვლევის ამ ნაწილის ხარისხი.

არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

რატომ გვჭირდება არსებული ლიტერატურის მიმოხილვა? ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი ასე ჟღერს: იმიტომ, რომ თქვენ გაინტერესებთ რა არის ცნობილი თქვენს კვლევის ინტერესების სფეროზე, რათა „ბორბალი თავიდან არ გამოიგონოთ.“ ლიტერატურის მიმოხილვაში თქვენ აჩვენებთ, რომ შეგიძლიათ თქვენი კვლევის არეალის შესახებ სხვა მეცნიერთა მიერ შექმნილი ნაშრომების გაგება და სამეცნიერო მიმოხილვა. ამის გარდა, თემაზე არსებული ლიტერატურის გამოყენება კარგი საშუალებაა თქვენი კვლევის შესახებ სამეცნიერო არგუმენტების ფორმულირების და თქვენი კვლევის სამომავლო მიმართულების განსაზღვრისათვის. მაღალი ხარისხით შესრულებული ლიტერატურის მიმოხილვა თქვენი, როგორც მკვლევრის სანდოობას ზრდის, რადგან ამით თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენი კვლევითი არეალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია გაქვთ. ლიტერატურის მიმოხილვა არ არის მხოლოდ სხვა მეცნიერთა თეორიებისა და მოსაზღებების რეპროდუქცია, არამედ იმის ჩვენება, რომ თქვენ შეგიძლიათ მათი ნაშრომები კონკრეტული თავლთახედვის ან არგუმენტის დასაცავად გამოიყენოთ. ლიტერატურის შესწავლის მიზანი შეიძლება იყოს შემდეგ კითხვ(ებ)ზე პასუხის გაცემა:

- რა არის ამ სფეროზე ცნობილი?
- რა კონცეპტები და თეორიებია რელევანტური ამ სფეროსთვის?
- ამ სფეროს შესასწავლად რა მეთოდები და კვლევითი სტრატეგიები იქნა გამოყენებული?
- ამ სფეროს მკვლევართა შორის არსებობს მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა?
- ამ სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებს შორის არსებობს თუ არა შეუთავსებლობა?

- ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს თუ არა კვლევითი კითხვები, რომლებზეც პასუხი არ არის გაცემული.

ეს უკანასკნელი საკითხი გამოგადგებათ თქვენი კვლევითი კითხვის გადასინჯვისა და სრულყოფისთვის.

როგორ მიიიღოთ მაქსიმალური სარგებელი თქვენი წაკითხულისაგან

რადგანაც თქვენი კვლევითი პროექტის განხორციელების ადრეული ეტაპი ძირითადად არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვას ეთმობა, რათა დაწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა, უნდა დარწმუნდეთ, რომ კითხვის პროცესისთვისაც მზად ხართ. წაკითხულისაგან მაქსიმალური სარგებლის მიღება გულისხმობს თქვენი უნარების განვითარებას ისე, რომ იკითხოთ აქტიურად და კრიტიკულად. როცა კითხულობთ თქვენი კვლევის სფეროში არსებულ ლიტერატურას, ეცადეთ განახორციელოთ შემდეგი:

- გააკეთეთ ჩანაწერები და რიგ შემთხვევაში ასახეთ თქვენ მიერ წაკითხული მასალის დეტალები. აღშფოთდებით, თუ აღმოაჩენთ, რომ არ გაქვთ ჩანიშნული იმ სტატიების წყარო, რომლებიც დაამუშავეთ და რომლის შეტანასაც აპირებთ ბიბლიოგრაფიაში. ამის გამო შეიძლება საჭირო გახდეს ბიბლიოთეკაში ხელმეორედ ვიზიტი, მაშინ, როდესაც თქვენ დროის დეფიციტი გაქვთ;
- განივითარეთ კრიტიკული კითხვის უნარი. ლიტერატურის მიმოხილვისას თქვენ გაცილებით მეტი უნდა გააკეთოთ, ვიდრე თქვენ მიერ წაკითხული ლიტერატურის შეჯამებაა. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ უნდა გქონდეთ კრიტიკული მიდგომა და ეს კრიტიკული პოზიციებიც ისევე უნდა ჩაინიშნოთ, როგორც ინიშნავთ ლიტერატურის მნიშვნელოვან დეტალებს. კრიტიკული მიდგომის გამომუშავება არ ნიშნავს, რომ უბრალოდ გააკრიტიკოთ სხვების ნამუშევარი. ის გულისხმობს, სხვების ნაშრომების წმინდა შეჯამების და აღწერის გარდა, მათი ნაშრომების მნიშვნელოვნებაზე კითხვების დასმას. ის გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: როგორ გაკავშირებთ წაკითხული აზრი სხვა ავტორებთან? მეთოდოლოგიის ან დასკვნების სანდოობის თვალსაზრისით, არსებობს რამე აშკარა, ძლიერი და უარყოფითი მხარეები? რა თეორიულმა იდეებმა მისცა ბიძგი ამა თუ იმ პოზიციის ჩამოყალიბებას? რა შედეგები მოყვება ავტორის იდეებსა თუ მიგნებებს? რა იყო ავტორის მიზანი კვლევის ჩატარებისას? რა არის ნაშრომის მთავარი დასკვნები და არის თუ არა ისინი გამყარებული ავტორის მიერ მოტანილი მონაცემებით? რა არის ავტორის ვარაუდები?
- გასაანალიზებელი ლიტერატურა უნდა მოძებნოთ თქვენი კვლევის კითხვების მიხედვით და ლიტერატურის მიმოხილვა უნდა გამოიყენოთ, როგორც საშუალება იმის დასადგენად, თუ რატომ არის თქვენი კვლევის კითხვები მნიშვნელოვანი. მაგალითად, თუკი თქვენი კვლევის კითხვა ემყარება იმას, რომ მართალია ბევრი კვლევა არსებობს X საკითხვზე (კვლევის ზოგადი სფერო, მაგალითად ქალთა მეწარმეობა ან დასაქმებულთა აბსენტეიზმი), მაგრამ ცოტა კვლევაა ჩატარებული X1-

ზე (X1 იქნება X-ის კონკრეტული ასპექტი), მაშინ სწორედ ლიტერატურის მიმოხილვა დაგეხმარებათ კვლევითი საკითხის აქტუალობის დასაბუთებაში. სხვაგვარად, შეიძლება X1 საკითხზე არსებობს ორი კონკურენტული პოზიცია და თქვენ თქვენი კვლევით გამოავლენთ, რომელი მათგანი გვთავაზობს უკეთეს პოზიციას. მაშინ თქვენს ლიტერატურის მიმოხილვაში თქვენ უნდა ასახოთ ამ განსხვავებული პოზიციების ხასიათი. ამ შემთხვევაში ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გაძლევთ იპოვოთ, განათავსოთ თქვენი კვლევა ამ სფეროს კვლევით ტრადიციაში. გარდა ამისა, ლიტერატურის მიმოხილვა შეიძლება იყოს კვლევის კითხვების ფორმულირების მნიშვნელოვანი წყარო.

- გაითვალისწინეთ, რომ თქვენი კვლევის შედეგების განხილვისას ან დასკვნების ფორმულირებისას დაუბრუნდებით ლიტერატურის მიმოხილვას.
- ნუ შეეცდებით, რომ ყველაფერი, რაც წაიკითხეთ თქვენი კვლევის თემის გარშემო, შეიტანოთ ლიტერატურის მიმოხილვაში. ლიტერატურის მიმოხილვა უნდა დაგეხმაროთ თქვენი არგუმენტის ჩამოყალიბებაში. ნაკლებრელევანტური მასალის განხილვა შეამცირებს თქვენი არგუმენტის მისაღებობას.
- გახსოვდეთ, რომ ლიტერატურის მიმოხილვა არ გულისხმობს იმას, რომ ის უნდა შეწყვიტოთ კვლევითი დიზაინის შექმნის შემდეგ. თქვენ აგრძელებთ ლიტერატურის მოძიებას და ანალიზს თითქმის მთელი კვლევის მანძილზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ თუკი ლიტერატურის მიმოხილვა დაწერეთ იქამდე, სანამ ემპირიული მონაცემების შეგროვებას დაიწყებდით, თქვენ ის უნდა ჩათვალოთ, როგორც წინასწარი. თქვენი კვლევის შედეგების წერისას თქვენ მოგიწევთ მასთან დაბრუნება და არსებითი ცვლილებების განხორციელება.
- ლიტერატურის მიმოხილვის თავში ნუ შეაჯამებთ ყელაფერს, რაც წაიკითხეთ. გარდა იმისა, რომ მსგავსი შეჯამების კითხვა მოსაწყენია, ის არ ეუბნება მკითხველს, მიიღეთ თუ არა სარგებელი ამ ლიტერატურიდან და როგორ შეესაბამება ის თქვენს კვლევით პროექტს. ლიტერატურა უნდა გამოიყენოთ თქვენი „მოთხრობის“ მოსაყოლად. ჩანართში #1 ასახულია, როგორ შეიძლება ლიტერატურის მიმოხილვის ფორმულირება. ძირითადად, მოყვანილია თვისებრივი კვლევის მაგალითები, თუმცა უნდა გაითვალისწინოთ, რომ ლიტერატურის მიმოხილვას უფრო დიდი დატვირთვა აქვს რაოდენობრივ კვლევაში.
- ჩანართში #2 ჰოლბრუკი განიხილავს მისი სადოქტორო დისერტაციის შემფასებლების რეცენზიებს ლიტერატურის მიმოხილვის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი შეტყობინება აქ არის ის, რომ ლიტერატურის მიმოხილვა უნდა იყოს ყოვლისმომცველი. თუკი დოქტორანტს მოეთხოვება ყოვლისმომცველი ლიტერატურის მიმოხილვის შექმნა, ეს უფრო რთული გამოწვევაა ქვედა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისათვის. ყოველ შემთხვევაში, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავდეს თქვენი კვლევითი სფეროს შესახებ მთავარ ავტორებსა და ნაშრომებს.

ლიტერატურის მიმოხილვები, ძირითადად, ნარატიული მიმოხილვის ფორმით არის წარმოდგენილი (მოგვიანებით დეტალურად ავხსნით). ეს ნიშნავს იმას, რომ ის ახდენს შესასწავლი სფეროს ზოგად მიმოხილვას ისე, რომ მოახდინოს ლიტერატურის მიზნობრივი და კრიტიკული შეფასება. ასეთი ლიტერატურის მიმოხილვა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული ემპირიული მიგნებების პრეზენტაციის პრელუდია ან შეიძლება ის იყოს ნაშრომის დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი ნაწილი. მაშინ როდესაც ასეთი ტიპის ლიტერატურის მიმოხილვა ყველაზე გავრცელებულია, პარალელურად გაჩნდა ახალი ტიპის ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ცნობილია სისტემატური მიმოხილვის სახელით.

სისტემატური მიმოხილვა

სისტემატური მიმოხილვა განისაზღვრა, როგორც „განმეორებადი (რეპლიკაციური), სამეცნიერო და გამჭვირვალე პროცესი, რომელიც გულისხმობს საკვლევი საკითხის გარშემო არსებული უზღვავი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი კვლევების მიმოხილვის განახორციელებას მინიმალური ცდომილებით, ის რომ ცხრილის სახით ასახოს მიმომხილველის მოსაზრებები, შერჩევისა და შეფასებების პროცედურა და დასკვნა.“ მსგავსი მიმოხილვა შეიძლევა განხორციელდეს ტრადიციულად ნარატიული მიმოხილვის სახით. სისტემატური მიმოხილვის მხარდამჭერები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ამ ტიპის მიმოხილვა უფრო ობიექტური და ყოვლისმომცველია, განსაკუთრებით კი იმ სფეროებში, სადაც აინტერესებთ ჩარევამ (ინტერვენციამ) გამოიღო თუ არა რაიმე შედეგი. ისეთი სისტემატური მიმოხილვა, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზს ახორციელებს, მეტა ანალიზია. უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას აქცევენ თვისებრივ სისტემატურ მიმოხილვებსაც, განსაკუთრებით კი სოციალურ მეცნიერებებში. მეტა-ეთნოგრაფია არის მიდგომა, რომელიც თვისებრივი მიგნებების სინთეზირებას ახდენს. არის კიდევ რამდენიმე მიდგომა, რომელიც ჯერჯერობით ფართოდ გავრცელებული არ არის.

ლიტერატურის სისტემატური მიმოხილვისას ორ საკითხზე ხდება განსაკუთრებული აქცენტის დასმა: პირველი საკითხი არის ის, რომ ტრადიციულად ლიტერატურის მიმოხილვა არ არის ზედმიწევნითი და მასში ასახულია მკვლევრის მიკერძოებულობა. სისტემატური მიმოხილვის მომხრეები გვთავაზობენ, რომ მიმოხილვის პროცედურების გამჭვირვალობა ამ მიკერძოებულობას ამცირებს; მეორე საკითხი უფრო ხშირად მედიცინაში და მსგავსი ტიპის მეცნიერებებში გვხვდება, სადაც მკურნალობის მიღებული გზა მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკაა. ლიტერატურის სისტემატური მიმოხილვა კი განიხილება, როგორც მტკიცებულების შექმნის საშუალება, როდესაც მასში ასახულია ყველა პრაქტიკოსისა და მკვლევრის გამოცდილება. ასეთი ტიპის მიმოხილვები ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებთათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებები.

სისტემატური მიმოხილვის მიდგომა იჭრება სხვა სფეროებშიც, მაგალითად სოციალურ პოლიტიკაში, ისე რომ პოლიტიკის მკეთებლებს (policy-makers) შეეძლოთ მიმოხილვის შეჯამებაში ნახონ კონკრეტულ სფეროში გავრცელებული საწინააღმდეგო პარქტიკების

შედეგების ბალანსი. განსხვავებით სამედიცინო სფეროსაგან, სოციალურ მეცნიერებებში სისტემატური მიმოხილვის გაკეთებისას პრობლემაა კონსენსუსის არარსებობა, რადგან გვაქვს განსხვავებული თეორიული მიდგომები და მათი გავლენით კვლევის კითხვებს განსხვავებული ფორმულირება აქვთ. სამედიცინო სფეროში ხშირად ისმება კითხვა: „რა მუშაობს კარგად?“ ამ კითხვაზე საპასუხოდ სისტემატური მიმოხილვა ძალიან ეფექტიანი საშუალებაა, თუმცა ამგვარი პრაქტიკა ძნელად საპოვნელია სოციალურ მეცნიერებებში და, მაგალითად, სოციოლოგიაში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სისტემატურმა განხილვამ დიდი ყურადღება მიიპყრო უკანასკნელ წლებში, ამიტომ განვიხილოთ მისი ძირითადი ეტაპები. სისტემატური მიმოხილვის ანგარიშები მცირედით განსხვავდება, მაგრამ ისინი მაინც აერთიანებს ქვემოთ წარმოდგენილ ეტაპებს და ძირითადად მათი მიმდევრობაც უცვლელია:

1. მიმოხილვის მიზნისა და მასშტაბის განსაზღვრა. მიმოხილვისათვის საჭიროა მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის ფორმულირება (ხშირად კვლევის კითხვის სახით), რის საფუძველზეც გადაწყდება, რა ტიპის კვლევები უნდა მოვიძიოთ და როგორ უნდა შევარჩიოთ ისინი თანმიმდევრულად. ხშირად არის მოსაზრება, რომ სისტემატური განხილვისას მკვლევარმა და მისმა გუნდმა უნდა შექმნან ერთგვარი სია, რომლითაც იხელმძღვანელებენ, როგორც კვლევის კითხვის, მასშტაბის განსაზღვრის, ისე საკვანძო ცნებების შერჩევისას.
2. ისეთი კვლევების მოძიება, რომელთა მიზანი და კვლევის კითხვა შესაბამისობაშია დასახული მიმოხილვის მიზანთან და კვლევის კითხვასთან. ამისათვის ძიებისას ვიყენებთ საკვანძო სიტყვებსა და ტერმინებს, პირველ ეტაპზე განსაზღვრული კვლევის კითხვის შესაბამისად. ძიების სტრატეგია ასევე უნდა იყოს დეტალურად აღწერილი, ისე რომ მისი განმეორებით განხორციელება შესაძლებელი იყოს. მიმომხილველი გადაწყვეტს, რა ტიპის პუბლიკაციები შეიძლება შევიდეს მიმოხილვაში. მიმზიდველია მიმოხილვაში მხოლოდ იმ სტატიების შეყვანა, რომლებიც მოხვდა რეცენზირებად მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რადგან მათი მოძიება შედარებით მარტივია სამეცნიერო ელექტრონული ბაზების და ციტირების ინდექსების გამოყენებით. თუმცა მხოლოდ მაღალრეიტინგული ჟურნალების სტატიების მოცვა გამოიწვევს სხვა წყაროების უკუგდებას, მაგალითად, როგორებიცაა წიგნები, არარეცენზირებულ ჟურნალებში სტატიები და ე.წ. „რუხი ლიტერატურა“ (საკონფერენციო მოხსენებები და სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ შექმნილი ანგარიშები).
3. მეორე ეტაპის აქტივობების შეფასება. მიმომხილველს შეიძლება მოუნდეს მიმოხილვის შეზღუდვა მხოლოდ გაკრვეულ დროის ფარგლებში გარკვეულ რეგიონის ან ქვეყნის შესახებ გამოქვეყნებული კვლევებით. შეზღუდვის კრიტერიუმი შეიძლება ასევე იყოს კვლევის დიზაინი ან კვლევის მეთოდი. ზოგიერთ სფეროში, მაგალითად მედიცინაში, არსებობს კითხვაზე „რა მუშაობს კარგად“ პასუხის გაცემის მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც არაორაზროვანი იერარქიისაა. ეს ნიშნავს,

რომ მიმოხილვაში შევა მხოლოდ ის სტატიები, რომლებსაც აქვს ჭეშმარიტი ექსპერიმენტის დიზაინი (რომელიც იყენებს ჯგუფების შემთხვევით კონტოლს და საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებს), რადგან მხოლოდ ამგვარი დიზაინით ჩატარებული კვლევები ითვლება სანდოდ და მიზეზისა და შედეგის დადგენის საშუალებად. თუმცა სოციალურ მეცნიერებებში მსგავსი კონსენსუსი კვლევის გამართლებულ დიზაინთან დაკავშირებით არ არსებობს. შეზღუდვის არარსებობის პირობებში კი ყველა გამოქვეყნებული ნაშრომის შეტანა მოუწევს მკვლევარს მიმოხილვაში. ამ უსასრულო შრომის თავიდან აცილების მიზნით, მკვლევარი მეორე ეტაპზე გამოვლენილი ლიტერატურიდან მიმოხილვისთვის ამოარჩევს მათ, რომელთა კვლევითი კითხვა და ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის შექმნილი კვლევის დიზაინი ერთმანეთს შეესაბამება. ამ პროცესში ასევე გაითვალისწინებს კვლევის ჩატარების სტანდარტების დაცვას.

4. თითოეული კვლევის ანალიზი და შედეგების სინთეზირება: ამ ეტაპზე გამოყენებული უნდა იყოს ოფიციალური პროტოკოლი, რათა მოხდეს კვლევების შემდეგი მახასიათებლების ასახვა: კვლევის ჩატარების თარიღი, ადგილი, შერჩევის ზომა, მონაცემთა შეგროვების მეთოდი და კვლევის ძირითადი მიგნებები. შემდეგ კი შედეგების სინთეზირება უნდა მოხდეს. თუკი ძირითადი კვლევები რაოდენობრივი კვლევის დიზაინისაა, მაშინ მოხდება მეტა-ანალიზის განხორციელება. ეს ფაზა გულიხსმობს კვლევების მიერ წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემების შეჯამებული სტატისტიკის შემუშავებას. თუკი ჩვენ გვაქვს კვლევები, რომლებიც იყენებდნენ თვისებრივ კვლევის დიზაინს ან შერეულ (თვისებრივ-რაოდენობრივ) კვლევის დიზაინს, მაშინ შედეგები წარმოდგენილი იქნება ანგარიშის სახით - რომელიც შეიძლება მოიცავდეს შედეგების ამსახველ ცხრილს და თხრობას საკვანძო მიგნებების შესახებ. მკვლევართა ნაწილი გვთავაზობს, რომ მიმოხილვის დოკუმენტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, როგორც ანგარიში, რომელშიც ასახული იქნება გამოყენებული კვლევის მეთოდები, ძირითადი მიდგნებები, დისკუსია და სპეციფიკური დასკვნები.

ავტორები მიიჩნევენ, რომ სისტემატური განხილვის პროცესი უფრო საიმედო საფუძველს ქმნის, რადგან ის კვლევის საკითხების უფრო ამომწურავ გაგებას გვთავაზობს. ის სასარგებლოა არა მხოლოდ პრაქტიკოსებისთვის, არამედ მკვლევართათვისაც, რადგან ის შედეგების შეჯამების ეფექტიანი გზაა. ამ მიდგომის მომხრეები სისტემატურ მიმოხილვას გამჭვირვალე პროცედურების გამო ანიჭებენ უპირატესობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ნაშრომების შერჩევის კრიტერიუმები, ისევე როგორც ანალიზის მეთოდები, დეტალურად გაწერილია და ის გამეორებით მსგავსი კვლევის ჩატარების და შედეგების გადამოწმების საშუალებას აძლევს სხვა მკვლევარს. მკვლევარები აქვე დასძენენ, რომ სისტემატური მიმოხილვის გამოყენება ყველა შემთხვევაში არ არის რეკომენდებული. განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც თქვენი საკვლევი კითხვების მსგავსი კითხვები არ დასმულა და საკითხი ამ კუთხით არ შესწავლილა. რაოდენობრივი კვლევების მეტა-

ანალიზები და გარკვეული ტიპის თვისებრივი კვლევები ყოველთვის არ არის ამ ფორმატის. ეს წარმოდგენა შეიძლება იმიტომ არსებობდეს, რომ ადრეულ ეტაპზე შექმნილი სისტემატური მიმოხილვები ხშირად ემსახურებოდა შემდეგი ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემას: „რა მუშაობს კარგად?“ ან „როგორ მუშაობს X-ი?“ შესაბამისად ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელი იყო ექსპერიმენტული კვლევის დიზაინის გამოყენება. უკანასკნელ წლებში სისტემატური მიმოხილვის განხორციელება აქტუალური გახდა ისეთი ტიპის კვლევის კითხვებზე, რომელიც შეიძლება მიმოიხილავდეს როგორც თვისებრივ, ისე შერეული ტიპის დიზაინით ჩატარებულ კვლევებს.

ანუ სისტემატური მიმოხილვის ერთი შეზღუდვა უკავშირდება კვლევითი კითხვის ფორმულირების ტიპს. სისტემატური მიმოხილვა ასევე გაკრიტიკებულია ლიტერატურის მიმოხილვის ბიუროკრატიზაციის კუთხითაც, რადგან ის მეტ ყურადღებას აქცევს პროცესის ტექნიკურ ასპექტებს, ვიდრე მის ინტერპრეტაციას. მესამე კრიტიკა უკავშირდება თვისებრივი დიზაინით ჩატარებული კვლევების მიმოხილვაში ჩართვას, რადგან რთულია კვლევის მეთოდოლოგიის ხარისხის ზუსტი შეფასება. სისტემატური მიმოხილვა უშვებს, რომ შესაძლებელია სტატიის ხარისხის ობიექტური შეფასება. თუმცა, განსაკუთრებით თვისებრივი დიზაინით ჩატარებული კვლევების ხარისხის შეფასების შესახებ, კონსენსუსი არ არსებობს. უფრო მეტიც, თვისებრივი კვლევები შეიძლება შევაფასოთ იმის მიხედვით, თუ რა გამოავლინეს ახალი და საინტერესო, და არა იმით, თუ რა გზით გამოავლინეს ის. ეს მიდგომა კი სრულიად შეუთავსებელია სისტემატური მიმოხილვის მიდგომებთან, სადაც მთავარია მეთოდოლოგიური გამართულობა. გარდა ამისა, სამედიცინო სფეროს მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ამ სფეროში რელევანტური თვისებრივი კვლევის იდენტიფიცირება უფრო რთულია, რადგან მხოლოდ აბსტრაქტით ვერ შეფასდება მისი შინაარსი. საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისტემატური მიმოხილვის გამოყენება თქვენთვის დამოკიდებულია თქვენს ეპისტომოლოგიურ მიდგომაზე. როგორც სხვა მკვლევრები მიუთითებენ: „პოზიტივისტებს უფრო აინტერესებთ ცოდნის სისტემატიზირება, ვიდრე ინტერპრეტაციის მომხრეებს. მათთვის ცოდნის აკუმულირება შესაძლებელი და სასურველია. პრობლემა კი უკავშირდება კითხვას, როგორ მოვახდინოთ ამ ცოდნის აკუმულირება. ამიტომ, იმ მკვლევართათვის, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებს ინტერპრეტაციულ მეცნიერებებად აღიქვამენ, სისტემატური მიმოხილვა უფრო რთული და მიუღებელი იქნება.

ნარატიული მიმოხილვა

გარდა იმისა, რომ ლიტერატურის მიმოხილვა შეიძლება გამოვიყენოთ მკვლევრის მიერ განხორციელებული კვლევის საშუალებით არსებული ცოდნისათვის ახალი ცოდნის დამატების საჭიროების დადასტურების გზად, ინტერპრეტაციული მიდგომის მომხრეებისათვის ლიტერატურის მიმოხილვას შეიძლება ჰქონდეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა, რადგან ამ მიდგომის მომხრეებისათვის მნიშვნელოვანია ჰუმანისტური დისკურსების გამდიდრება გაგებით და არა ცოდნის აკუმულირებით. ლიტერატურის

მიმოხილვა მათთვის არის თავის კვლევით საკითხზე პირველადი განწყობის ჩამოყალიბების საშუალება. ლიტერატურის მიმოხილვის პროცესი არის აღმოჩენების პროცესი, როცა ყოველთვის წინასწარ არ არის განსაზღვრული, რა მიმართულებით წაიყვანს ის მკვლევარს. შესაბამისად, ნარატიული მიმოხილვა ნაკლებად ფოკუსირებული და სისტემატურ მიმოხილვაზე უფრო ფართომასშტაბიანია. ნარატიულ მიმოხილვაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ რა ტიპის კვლევებს დაფარავს ის ან დატოვებს ყურადღების მიღმა.

თუ თეორიასა და პრაქტიკას შორის თქვენი მიმართება ინდუქციურია, მაშინ საკმაოდ პრობლემატურია ის, რომ თქვენ ემპირიული მონაცემების შეგროვებამდე განსაზღვროთ თქვენი თეორიული და კონცეპტუალური მიდგომები, რადგან ინდუქციური მიდგომით თეორიის შემუშავება სწორედ თქვენი კვლევის შედეგად უნდა მოხდეს. შესაბამისად, ამ მიდგომით კვლევის პროცესში მკვლევარმა შეიძლება აღმოაჩინოს საკითხები, რომლებსაც ადრე მისი კვლევითი ფოკუსისათვის არარელევანტურად მიიჩნევდა. შედეგად ისინი გააცნობიერებენ თავისი საწყისი კვლევითი ინტერესების შეზღუდულობას და ამან შეიძლება მიიყვანოს ისინი წინასწარ დაუგეგმავ გაგების პროცესთან. ინტერპრეტაციული მიდგომების მომხრეებისათვის, დედუქციური მიდგომების მქონე მკვლევრებისგანგან განსხვავებით, დამახასიათებელია თეორიასთან და ლიტერატურასთან მიმართებაში პოზიციების ცვლილება ემპირიული მონაცემების შეგროვების შემდეგ. შესაბამისად, მათ სჭირდებათ კვლევითი საკითხის არა შემოსაზღვრა, არამედ მის მიმართ თავისუფალი და მოქნილი მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ თვისებრივი კვლევის დიზაინის მომხრეთათვის, რომლებიც ინტერპრეტაციულ ეპისტემოლოგიას ეფუძნებიან, ნარატიული მიმოხილვა უფრო მოსახერხებელი კვლევის სტრატეგიაა, ვიდრე სისტემატური მიმოხილვა.

ლიტერატურის მიმოხილვების დიდი ნაწილი ნარატიული ფორმისაა, მიუხედავად იმისა, ის კვლევისთვის პლაცდარმის შექმნას ემსახურება (აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ განისაზღვრება მკვლევარი რა სპეციფიკურ კვლევის კითხვას დასვამს) თუ ლიტერატურის მიმოხილვას თავისთავადი ღირებულება გააჩნია (აქ იგულისხმება, რომ ლიტერატურის მიმოხილვა არის იმ ცოდნის შეჯამება, რაც კვლევით სფეროზე დაგროვდა მეცნიერებაში). როდესაც ვსაუბრობთ კვლევითი ნაშრომის მომზადებაზე, აქაც აქცენტირებულია, რომ ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილი კვლევით ნაშრომში ემსახურება კვლევის თემის აქტუალობის დადასტურებას და იმის ჩვენებას, რომ მოცემულმა კვლევამ ახალი ცოდნა შეჰმატა ამ სფეროში არსებულ სხვა კვლევებს. მსგავსი მიზნით გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვის ფორმა ძირითადად ნარატიულია. სისტემატურ მიმოხილვასთან შედარებით, ნარატიული მიმოხილვა შეიძლება აღმოჩნდეს უფრო შემთხვევითი (რაც მის განმეორებადობას, რეპლიკაციას შეუძლებელს ხდის), ნაკლებად ყოვლისმომცველი და მტკიცებულების შექმნის კუთხით უსარგებლო. ნარატიული მიმოხილვის ამ ნაკლოვანებების შესავსებად შესაძლებელია სისტემატური მიმოხილვის პროცედურების შემოტანა ნარატიულ მიმოხილვაში (იხ. ჩანართი #3).

არსებული ლიტერატურის მოძიება

კვლევის დაწყებისას შესაძლებელია სტუდენტები უკვე მოიაზრებდნენ რამდენიმე საკვანძო წყაროს, რომლის გამოყენებასაც გეგმავენ ლიტერატურის მიმოხილვაში. ამ წყაორების შესახებ ინფორმაცია მათ შეიძლება ჰქონდეთ რომელიმე კურსიდან, სახელმძღვანელოდან. სახელმძღვანელოების ან სტატიების ბოლოში მოცემული ბიბლიოგრაფია, როგორც წესი, გეხმარებათ რელევანტური წყაროების იდენტიფიცირებაში. ლიტერატურის მოძიება ეფუძნება წიგნების, ჟურნალების, ანგარიშების ყურადღებით წაკითხვას. მას შემდეგ რაც რამდენიმე საკვანძო სიტყვას განსაზღვრავთ, რომლის მიხედვით თქვენს კვლევით არეალს შემოფარგლავთ, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ელექტრონული მონაცემთა ბაზები თქვენს კვლევით არეალში უკვე გამოქვეყნებული ნაშრომების მოსაძიებლად.

ელექტრონული მონაცემთა ბაზები

ინტერნეტში განთავსებული ონლაინ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზები არის ჟურნალების მოძიების მნიშვნელოვანი წყარო. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე მოგცემთ ელექტრონული ფორმით ამ ჟურნალების წვდომას, რომელთაც როგორც წესი e-journals (ელექტრონული ჟურნალები) ეწოდება. თქვენ უნდა გაარკვიოთ, თქვენი ინსტიტუცია გაძლევთ თუ არა ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან წვდომას.

სოციალურ მეცნიერებებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის სოციალური მეცნიერებების ციტირების ინდექსი (Social Sciences Citation Index (SSCI)), რომელიც ფარავს ამ სფეროში გამოქვეყნებულ 1700 ძირითად ჟურნალს და 1970 წლიდან ფუნქციონირებს. სოციალური მეცნიერებების ციტირების ინდექსი გთავაზობთ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების სათაურებს, აბსტრაქტებს, საკვანძო სიტყვებს და ზოგჯერ ის სტატიის სრულ ვერსიასაც გთავაზობთ.

საძიებო ველებში თქვენ შეგიძლიათ ძებნა განახორციელოთ სფეროს, თემის, ავტორის ან საკვანძო სიტყვის მიხედვით. ხშირად ელექტორნულ მონაცემთა ბაზაში ასევე შესულია წიგნების მიმოხილვები, სარედაქციო მასალა და სხვა. გაითვალისწინეთ, რომ შეგიძლიათ ძიებისას გამოიყენეთ საკვანძო სიტყვებისა და თემების სხვადასხვა კომბინაცია. მოძიებული სტატიის შესაფასებლად ასევე გამოგადგებათ ფუნქცია „ციტირების რაოდენობა“ („Times cited”). სტატიის ციტირების რაოდენობის შემოწმება ორი მიზნით გამოგადგებათ: პირველი, ის დაგეხმარებათ ნახოთ გამოყენებული იყო თუ არა ის უკანასკნელ კვლევებში; მეორე, ის გაძლევთ წარმოდგენას ამ სტატიის იდეასთან მიმართებით მოხდა თუ არა ახალი კვლევის ჩატარება და ამ იდეის გარშემო ახალი მონაცემების შეგროვება. ჟურნალების მრავალფეროვნებით და მაღალი ციტირების ინდექსით გაორჩეულია Web of Science-ის და Scopus-ის ბაზები[1]. ძიებისათვის შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ Google Scholar -ი.

---

[1] გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულ ბაზებთან წვდომა შეგიძლიათ თსუ-ს ვებგვერდიდან თსუ-ს ელფოსტის გამოყენებით:
https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/

გაითვალისწინეთ, რომ აკადემიური წიგნებისა და ჟურნალების გარდა ლიტერატურის მიმოხილვაში ასევე შეიძლება გამოგადგეთ პერიოდული გამოცემის ჟურნალ-გაზეთები (მაგ. Financial Times, The Times და სხვ.). ამ ტიპის წყაროები განსაკუთრებით მაშინ გამოგადგებათ, თუ გინდათ აჩვენოთ, როგორ გახდა აქტუალური ახალი სოციალური თემები, მაგალითად, სოციალური პრობლემები, პოლიტიკური ინიციატივები, პროფესიული კავშირები და სხვა. მართალია პერიოდული გამოცემების ანალიზი ვერ ანაცვლებს აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას, მაგრამ შიძლება დაგეხმაროთ ახლადწამოჭრილი საკითხების კვლევაში, რომლებზეც ჯერ კიდევ არ დაწერილა აკადემიური ნაშრომები.

რამდენიმე სიტყვით შევეხები Google-ის და სხვა საძიებო სისტემების გამოყენებას. ინტერნეტ საძიებო სისტემები ძალზედ სასარგებლოა სხვადასხვა საკითხზე ინფორმაციის მოსაძიებლად, თუმცა ისინი უბრალოდ პოულობენ საიტებს, ისინი არ აფასებენ მათ. ამიტომ კრიტიკულად შეაფასეთ მათი საშუალებით მოძიებული ინფორმაცია და საიტები. გაითვალისწინეთ, რომ ინტერნეტსივრცეში ყველას შეუძლია ინფორმაციის განთავსება, შესაბამისად, როდესაც ეძებთ ვებგვერდებს, თქვენ უნდა შეაფასოთ იქ განთავსებული ინფორმაციის სანდოობა და სასარგებლოობა. მსგავსი საძიებო სისტემებით მოპოვებული ინფორმაციის შესაფასებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კრიტერიუმები:

- ვინ არის საიტის ავტორი და რა მიზანი აქვს მის მიერ ინფორმაციის განთავსებას?
- სად არის საიტი განთავსებული? URL-ით თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ ეს არის აკადემიური გამოცემა (დაბოლოებით .ac, .uni, სხვა), არის სამთავრობო გვერდი (დაბოლოებით .gov), არამომგებიანი არაკომენრციული ორგანიზაცია (დაბოლოებით .org), თუ კომერციული ორგანიზაცია (დაბოლოებით .co, .com).
- როდის არის ბოლოს ინფორმაცია განახლებული? ხშირად განახლებული ინფორმაცია სიატზე მიანიშნებს მის ფუნქციონირებას და ინფორმაციის განახლებადობას.

კვლევისათვის რელევანტური წყაროების მოსაძებნად თქვენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და ბიბლიოთეკაც ძალზედ სასარგებლო იქნება.

საკვანძო სიტყვები და ძიების პარამეტრების განსაზღვრა

ელექტრონულ საძიებო სისტემებში წყაროების მოსაძიებლად პირველ რიგში უნდა შეარჩიოთ რელევანტური საკვანძო სიტყვები. ჟურნალების სტატიებს ხშირად ახლავს საკვანძო სიტვები. როდესაც პირველ ეტაპზე იპოვით რამდენიმე სტატიას, რომლებიც თქვენს კვლევით კითხვას შეესაბამება, ამ სტატიების საკვანძო სიტყვები შეიძლება გამოგადგეთ შემდგომი წყაროების მოძიებისთვის. თქვენ ასევე უნდა იფიქროთ სინონიმებსა და ალტერნატიულ ცნებებზე (ტერმინებზე), იმ ენების სპეციფიკის გათვალისწინებით რომელ ენებზეც ახორციელებთ მასალის მოძიებას. მოემზადეთ ექსპერიმენტებისთვის და იცოდეთ, რომ თქვენი საკვანძო სიტყვები შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს თქვენი კვლევის მიმდინარეობისას. ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში თქვენ შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ თქვენი კვლევის ობიექტის აღწერა სხვა ტერმინებშიც ხდება (ან შეიძლება მოხდეს).

გაითვალისწინეთ, რომ საძიებო სისტემებში თქვენი კვლევითი პროექტის სათურის ან დიდი ზომის წინადადების და ფრაზის ჩაწერა არარაციონალურია, რადგან ის ნაკლებად იპოვის წყაროს, თუ ზუსტად იგივე დასახელებით არ არის რამე გამოქვეყნებული, რისი შანსიც ნაკლებია. თქვენ ძიებისას საკვანძო ტერმინების კუთხით უნდა იფიქროთ. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის გამოიყენეთ „დახმარების“ (Help) ფუნქცია, სადაც ხშირად აღწერილია, რა გზით უფრო ეფექტურია წყაროების მოძიება. ისეთი შორისდებულების გამოყენება, როგორებიცაა „და“, „ან“ „არ“, შეიძლება ძალზე ეფექტური იყოს.

ზოგიერთ კვლევის სფეროზე არსებობს ბევრი წყარო. ეცადეთ მათგან მოახდინოთ მნიშვნელოვანი წყაროების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც დაიწყებთ ამ წყაროების დამუშავებას. ეს არ გულისხმობს იმას, რომ თქვენ აღარ დაუბრუნდებით ძებნის პროცესს, თუმცა შეიძლება ძებნამ ისე გაგიტაცოთ, რომ დააგროვოთ უამრავი ნაკლებრელევანტური მასალა, რომლის დამუშავებისათვის აღარ დაგრჩეთ დრო. ამ შემთხვევაში გამოიყენეთ თქვენი ხელმძღვანელის რჩევა, უნდა გაარძელოთ თუ არა ლიტერატურის მოძიება. გაითვალისიწინეთ, რომ თქვენ მიერ ლიტერატურის მოძიების, შერჩევის და გაანალიზების პროცედურები აუცილებლად უნდა ჩაიწეროთ, რაც შემდეგ მეთოდოლოგიის აღწერისთვის საჭირო და აუცილებელია. გაითვალისწინეთ, რომ როდესაც თქვენს ხელმძღვანელს ლიტერატურის მიმოხილვას მისცემთ წასაკითხად, ის უნდა მოიცავდეს წყაროების ზუსტ დასახელებას, რათა მან შეძლოს თქვენ მიერ განხორციელებული ლიტერატურის მიმოხილვის ხარისხის შეფასება.

ლიტერატურის მოძიების სქემა

I. თქვენი კვლევის რელევანტურ თემაზე წაიკითხეთ თქვენთვის ნაცნობი ან თქვენთვის რეკომენდირებული წიგნები და/ან სტატიები

II. კითხვის პროცესში პოტენციური ლიტერატურის შესახებ გააკეთეთ ჩანაწერები

III. მოინიშნეთ ამ ლიტერატურაში გამოყენებული საკვანძო სიტყვები

IV. ჩაინიშნეთ სხვა ლიტერატურა, რომლებიც ამ ავტორებს აქვთ გამოყენებული, შეიძლება ისინი თქვენთვისაც რელევანტური გამოდგეს

V. შეიმუშავეთ თქვენი კვლევისათვის რელევანტური საკვანძო სიტყვები

VI.თქვენი კვლევითი საკითხისათვის შეარჩიეთ ბიბლიოთეკა

VII.რელევანტური მანეცემთა ელექტრონული ბაზის გამოყენებით დაიწყეთ ლიტერატურის ონლაინ მოძიება

VIII.შეისწავლეთ რამდენად რელევანტურია მოძიებული ასალის სათაურები და აბსტრაქტები თქვენი კვლევისათვის

IX.მოიპოვეთ შერჩეულ წყაორებთან სრული წვდომა

X.რეგულარულად მოიძიეთ თქვენი კვლევის შესახებ ახალი ინფორმაცია

ციტირება

სხვების ნაშრომების თქვენს კვლევაში გამოყენება მნიშვნელოვანი აკადემიური კონვენციაა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ თქვენ იცით სფეროს განვითარების ისტორია და აღიარებთ, რომ თქვენი კვლევა დაშენებულია სხვების კვლევებზე. შესაბამისად, თქვენს კვლევაში ლიტერატურის მიმოხილვა იმის ჩვენებაა, რომ თქვენ გაქვთ ცოდნა და გესმით საკითხი. თქვენი ნაშრომის სხვა ნაწილში სხვა ავტორების მოხმობას სხვა მიზანი ექნება, მაგალითად ის აჩვენებს თქვენ მიერ მეთოდოლოგიური სტანდარტების ცოდნას ან დაგეხმარებათ თქვენი არგუმენტის გამყარებაში და ა.შ. სხვების ნაშრომების გამოყენება ხშირად ციტირების სახელწოდებით არის ცნობილი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ლიტერატურის მიმოხილვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის იმის ჩანიშვნა, თუ რა წაიკითხეთ, დეტალური ინფორმაციის ჩანიშვნა იმ წყაროებზე, რომლებსაც შიეტანთ თქვენს ლიტერატურის მიმოხილვაში და შესაბამისად, თქვენს ბიბლიოგრაფიაში. დიდი ზომის კვლევითი პროექტის განხორციელებისას სასურველია გამოიყენოთ ციტირების სპეციალური პროგრამები (მაგალითად, Procite ან Endnote), მაგრამ მცირე ზომის სტუდენტური კვლევისათვის საკმარისი იქნება ვორდის დოკუმენტში უბრალოდ ჩაინიშნოთ ინფორმაცია იმ წყაროებზე, რომლებიც დაამუშავეთ. ასევე გაითვალისწინეთ, რომ საბოლოოდ თქვენ შეიძლება ყველა დამუშავებული წყარო არ შეიტანოთ თქვენს მიმოხილვაში და შესაბამისად, ბიბლიოგრაფიაში. მთავარი აქ არის ის, რომ პროცესში აკეთოთ ეს ჩანაწერები და მხოლოდ ბოლოში არ გააკეთოთ ბიბლიოგრაფია, როდესაც უკვე მცირე დრო გექნებათ დარჩენილი და ბიბლიოგრაფიის დეტალური გამართვისთვის ვეღარ მოიცლით.

ყველა აკადემიურ ინსტიტუციას აქვს მის მიერ შერჩეული ციტირების სტილი,[2] რომლის შესახებ თქვენ უნდა იცოდეთ და დაიცვათ ის აკადემიური ნაშრომების მომზადებისას, თუმცა აქ არის ორი ძირითადი მეთოდი, რომელიც ნებისმიერ ციტირების სტილს მიეყენება:

- ჰარვარდი ან ავტორი-თარიღი (Harvard or author-date). ამ სისტემის არსი არის ის, რომ როდესაც თქვენ რომელიმე ავტორ(ებ)ის მიერ გამოთქმულ იდეას ან არგუმენტს პერიფრაზირებულად გამოიყნებეთ თქვენს ნაშრომში, იქვე მრგვალ ფრჩხილებში უთითებთ ავტორ(ებ)ის გვარს და ნაშრომის გამოცემის წელს. თუ ახდენთ ავტორ(ებ)ის ტექსტის ზუსტ ციტირებას, თქვენ ციტირებულ ტექსტს სვამთ ბრჭყალებში და შემდეგ უთითებთ ავტორ(ებ)ის გვარს, გამოცემის წელს და გვერდს, საიდანაც ციტატა აიღეთ. შემდეგ კი ყველა წიგნი, სტატია თუ სხვა წყარო რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის მიმოხილვაში, უნდა ასახოთ ბიბლიოგრაფიაში (ან გამოყენებულ ლიტერატურაში), რომელიც არის ნაშრომის ბოლოში და დალაგებულია

[2] თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძირითადად ვიყენებთ ციტირების APA სტილს. დეტალურად ამ სტილის შესახებ იხილეთ https://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books

ავტორების გვარებით ანბანის მიხედვით. ეს არის ციტირების ყველაზე გავრცელებული წესი, რომელსაც თითქმის ყველა აკადემიური გამოცემა იყენებს.

- სქოლიო თუ ნუმერაცია (Footnote or numeric). ეს მიდგომა გულისხმობს, რომ თქვენ მიერ ტექსტში გამოყენებულ პეროფრაზს ან ციტატას მიენიჭება ნომერი (სქოლიო) და შემდეგ ინფორმაცია ამ წყაროზე - ავტორ(ებ)ი, გამოცემის წელი, სათაური, გამომცემლობა, ნომერი და თუ ზუსტი ციტატაა - გვერდი განთავსდება ამ ნომრის შესაბამისად ან გვერდის ბოლოში, ან - ნაშრომის ბოლოში, სადაც ბიბლიოგრაფიაა განთავსებული. ციტირების ამ ფორმას ხშირად უწოდებენ მოკლე ციტირებას, რადგან წყაროების გამეორების შემთხვევაში მხოლოდ აბრევიატურის ნომერი მიეთითება. თუმცა ამ მეთოდის გარდა სქოლიოები ხშირად გამოიყენება ავტორის მიერ დამატებითი ინფორმაციის, დეტალის ან კომენტარის ასასახად, რომლის შეტანა ტექსტში ზედმეტია. ამ მიდგომის უპირატესობად თვლიან, რომ ის ნაკლებად აწუხებს მკითხველს კითხვის მიმდინარეობისას ზედმეტი დეტალის წარდგენით.

ბიბლიოგრაფის მნიშვნელობა

როგორ ფასდება ბიბლიოგრაფიის ხარისხი? შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ ხარისხის შეფასება მასში შესულ წყაროთა რაოდენობაზეა დამოკიდებული, რადგან გრძელი ბიბლიოგრაფია შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ავტორმა კვლევით თემაზე არსებული ლიტერატურა სრულად მოიცვა. ეს ნაწილობრივ სწორია, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოგრაფია იყოს ფოკუსირებული. მასში არ უნდა იყოს შესული ნებისმიერი წყარო, რაც კი ოდესმე საკვლევ თემაზე დაწერილა. ბიბლიოგრაფიაში უნდა ჩანდეს ავტორის მსჯელობა და შეფასება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია რელევანტური წყაროები. წყაროების ხარისხი ასევე შეიძლება შეფასდეს იმ ჟურნალების და გამომცემლობის რეიტინგებით, სადაც არის ნაშრომები გამოქვეყნებული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მაღალრეიტინგული ჟურნალებიდან უნდა გქონდეთ სტატიები შერჩეული, რადგან სრულიად შესაძლებელია, რომ დამწყები მკლევრის კარგი და რელევანტური სტატია გამოქვეყნებული იყოს არარეიტინგულ ჟურნალშიც. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია მეორადი ციტირება, ეს გულისხმობს, რომ თქვენ აციტირებთ სტატიას ან წიგნს, რომელიც ციტირებულია მაგალითად სახელმძღვანელოში და თქვენ არ შეგიძლიათ იმ სტატიის ან წიგნის ორიგინალის მოძიება. თუმცა დიდი დოზით მეორად ციტირებაზე დაყრდნობა პრობლემატურია, რადგან თქვენ ეცნობით არა უშუალოს ავტორის პოზიციას, არამედ ამ პოზიციის სხვა ავტორისეულ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, მეორადი ციტირების დიდი დოზით გამოყენებას უნდა მოვერიდოთ. მართალია მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ყურადღება მიაქციოთ ლიტერატურაში გამოყენებულ წყაროებს, მაგრამ სიღრმისეული ანალიზისთვის უნდა მოიძიოთ პირველწყაროები და არ უნდა დაეყრდნოთ სხვა ავტორების მიერ მათ ინტერპრეტაციას.

ბიბლიოგრაფიის ხარისხს ასევე განსაზღვრავს ის, თუ რა მიმართებაა ტექსტის ბოლოს არსებულ ჩამონათვალსა და ამ წყაროების ტექსტში გამოყენებას შორის. ალბათ ამის

აღნიშვნაც კი არ ღირს, რომ ბიბლიოგრაფიაში არ უნდა შეიტანოთ ისეთი წყარო, რომელიც ტექსტში გამოყენებული არ არის. განსაკუთრებით მომხიბვლელია იმის ჩვენება, რომ ბიბლიოგრაფიაში ნახსენები წყარო თქვენ გულდასმით წაიკითხეთ, გაიაზრეთ და მოახდინეთ მისი თქვენს ტექსტთან ინტეგრირება, ვიდრე ის, რომ ისინი თქვენი ნააზრევისა და ნაწერისაგან განყენებით დგანან.

პლაგიატის თავიდან აცილება

ლიტერატურის მიმოხილვისას საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, არის თქვენ მიერ წაკითხული ნაშრომების პლაგიატი (მითვისება). პლაგიატი არის ძალზე საკამათო ცნება. ოქსფორდის ლექსიკონში ეს ცნება ასეა განსაზღვრული: „სხვა ადამიანის (ფიქრების, ნაწერების, გამოგონებების და ა.შ.) გამოყენება სხვა ადამიანის მიერ, როგორც თავისი საკუთარი“. დიდი ბრიტანეთის ინგლისური ენის ლექსიკონში ის განისაზღვრება, როგორც „სხვა პირის იდეის ან ნაშრომის კოპირება და მისი ორიგინალურ ტექსტად წარმოჩენა.“ პლაგიატი არ ეხება მხოლოდ იმ ლიტერატურას, რომელსაც ესეს ან სხვა ნაშრომის მომზადებისას თქვენ კითხულობთ. დიდი მოცულობის მასალის აღება, მაგალითად, ვებგვერდიდან და მისი თქვენს ნაშრომში ჩასმა ასევე პლაგიატია. ასევე შესაძლებელია ადგილო ჰქონდეს თვითპლაგიატს. როდესაც ავტორი მის მიერ ადრე გამოქვეყნებულ ან დაწერილ ნაშრომს იღებს და თავიდან იყენებს და წარმოაჩენს მას, როგორც ორიგინალურ ნაშრომს. პლაგიატი არის აკადემიური ტყუილი, რომელიც არც თუ ისე დიდი დოზით განსხვავდება კვლევის შედეგების გაყალბებისგან.

ზოგადად, გავრცელებულია მოსაზრება, რომ უკანასკნელ ხანებში სტუდენტთა ნაშრომებში პლაგიატის ფაქტები გახშირდა, თუმცა შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს, რთულად დასადგენია. რთულია იმის დადგენა, რამდენად გავრცელებულია სტუდენტებში პლაგიატის პრაქტიკა, რადგან მათი გამოვლების ერთიანი შეფასება არ მომხდარა. თუმცა მიიჩნევა, რომ ინტერნეტი არის პლაგიატის გავრცელების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ვებგვერდებიდან, ელექტრონული ჟურნალებიდან, ელექტრონული წიგნებიდან, ონლაინ ესეებიდან თუ სხვა ტიპის წყაროებიდან ტექსტის კოპირების სიმარტივე მიიჩნევა თავარ ფაქტორად, რაც სტუდენტებში პლაგიატის პრაქტიკის გავრცელებას ხელს უწყობს.

უმაღელს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში პლაგიატიზმს სხვადასხვა სირთულე უკავშირდება. პირველი არის ის, რომ უნივერსიტეტები არაერთგვაროვნად განსაზღვრავენ პლაგიატს. მეორე არის ის, რომ ისინი სხვადასხვაგვარად რეაგირებენ, როდესაც პლაგიატი გამოვლინდება. ასევე განსხვავდება პლაგიატის გამოვლენის შემთხვევებში დასჯის ფორმები და მათი სიმძიმე. ასევე განსხვავდება უნივერსიტეტებში აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მიერ პლაგიატის აღქმა და მისი გადაჭრის გზების ხედვა. მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ სტუდენტები უფრო ნაკლებპრობლემურად აღიქვამენ პლაგიატის ფაქტებს და ზოგიერთი სულაც არ მიიჩნევს სამართლიანად პლაგიატის განმახორციელებელი პირების დასჯას. სტუდენტებიც და აკადემიური წრეების

წარმომადგენლებიც თანხმდებიან, რომ პლაგიატის მიზეზები შემდეგია: ციტირების წესების გაგების სირთულე; სიზარმაცე ან ცუდი დროის მენეჯმენტი, ინტერნეტში არსებული მზა მასალა. საინტერესოა, რომ სტუდენტები აკადემიური წრეების წარმომადგენლებზე უფრო ნაკლებად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ „აკადემიური წრეების წარმომადგენლებისაგან სტუდენტები იღებენ ადეკვატურ მითითებებს ციტირებების წესებთან დაკავშირებით.“ რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი ვერ იღებენ საკმარის რჩევებს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სწავლის დაწყებისთანავე თქვენ უნდა გაეცნოთ თქვენს სასწავლო დაწესებულებებში პლაგიატის რეგულაციის წესებს და მოითხოვოთ რჩევები ციტირების ფორმებთან დაკავშირებით.

პლაგიატის, როგორც დეფინიციის, ისე მისი გამომწვევი მიზეზების არაერთგვაროვანი განსაზღვრა იწვევს იმას, რომ სტუდენტები პლაგიატს სერიოზულად არ უყურებენ. ჩემი პასუხი ამაზე არის ის, რომ სტუდენტებმა ძალიან სერიოზულად უნდა აღიქვან პლაგიატის თემა. აკადემიური ნაშრომის ორიგინალურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მისი შეფასებისას. სხვისი იდეისა თუ ნაშრომის საკუთრად გასაღება, რბილად რომ ვთქვათ, მორალურად მიუღებელია. უნდა აღინიშნოს, რომ პლაგიატის შემთხვევების გამოვლენისას მისი განმახორციელებელი პირის მიმართ განხორციელებული დასჯის ფორმები საკმაოდ მკაცრია. ამიტომ აუცილებლად უარი უნდა თქვათ პლაგიატის გამოყენებაზე. იქედან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტები ხშირად აწყდებიან მსგავს ფაქტებს, ნაშრომების შეფასებისას ისინი სულ უფრო ხშირად იყენებენ პლაგიატის გამოვლენისათვის შექმნილ პროგრამებს[3], რაც ინტერნეტწყაროებიდან მასალის მითვისების მარტივად გამოვლენის საშუალებაა. რიგ შემთხვევაში მარტივი საძიებო სისტემებიც კი (მაგ. Google) გვეხმარებიან სტუდენტთა ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენაზე.

მიუხედავად იმისა, თუ რა წარმოდგენა აქვს სტუდენტს პლაგიატზე, მის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელების შემთხვევაშიი მის მიმართ განხორციელებული სასჯელი მძიმე იქნება. პირველ რიგში, არ დააკოპიროთ დიდი მოცულობის ტექსტი და მით უფრო წყაროს მითითების გარეშე. წყაროს მითითების შემთხვევაში ის მაინც ჩანს, რომ მოცემული მონაკვეთი თქვენ არ გეკუთვნით. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც პლაგიატის ესპერტს წაეყენა ბრალდება, რომ მან დიდი ზომის ციტატა მიითვისა. ავტორმა თავი დაიცვა იმით, რომ ეს ფორმატირების ტექნიკურ ხარვეზს დააბრალა. წყაროს მიუთითებლობის გამო ისე ჩანდა, რომ ავტორმა ეს ნაწილი მიითვისა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს „არამიზანმიმართულ პლაგიატს.“ თუმდა მიზანმიმართული და არამიზანმიმართული პლაგიატის ერთმანეთისაგან გარჩევა სულაც არ არის მარტივი. რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული პლაგიატი ტექსტში, მისი ავტორის სანდოობა მაინც

[3] თსუ-ში ნაშრომების შემოწმება ხორციელდება Turnitin-ოს პროგრამის გამოყენებით http://www.turnitin.com/.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ დიდი ტექსტის კოპირება და მასში რამდენიმე ფრაზის გადასხვაფერებაც პლაგიატია.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ, არის ის, რომ თქვენ არ უნდა გაასაღოთ სხვების იდეები ისე, თითქოს ისინი თქვენ გეკუთვნით. თქვენ ყოველთვის ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ თქვენ მიერ გამოვლენილი იდეები თქვენ არ გეკუთვნით. ამასთან დაკავშირებითაც არსებობს მრავალი მაგალითი, როდესაც იდეების მითვისებაში დაადანაშაულეს ავტორები.

ამ ქვეთავის მთავარი სათქმელი სწორედ ისაა, რომ თქვენ ყოველთვის უარი უნდა თქვათ პლაგიატზე. თუმცა ასევე ნათელია, რომ თქვენ წინასწარ უნდა იცოდეთ ის წესები, რითაც პლაგიატის შემთხვევები რეგულირდება. გაითვალისწინეთ, რომ ნამდვილად არ შეექმნებათ თქვენს ხელმძღვანელებს თქვენზე კარგი წარმოდგენა, თუ აღმოაჩენენ, რომ ტექსტის დიდი ნაწილები სხვა ნაშრომებიდან არის აღებული და მათში მცირე ცვლილებებია შეტანილი. ასევე არ არის შთამბეჭდავი ტექსტი, რომელიც სულ ციტირებებით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში შემფასებელი დასვამს ლეგიტიმურ კითხვას: რა არის ავტორის ბენეფიტი? ან რა პოზიცია აქვს ავტორს? გახსოვდეთ, რომ თქვენ მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალება თქვენს წერის სტილს ქმნის და საკმაოდ მარტივია მათში მითვისებული ტექსტის აღმოჩენა.

შესაბამისად ეცადეთ, რომ თქვენი საკუთარი იდეები თქვენივე სიტყვებით გადმოსცეთ, ხოლო როდესაც სხვის ნაშრომს ეყრდნობით, მიუთითეთ წყარო. ნამდვილად შეურაცხმყოფელია, როდესაც აღმოაჩენთ, რომ სხვამ თქვენი ტექსტი მიითვისა.

ჩანართი #1: ლიტერატურის წარმოდგენა ორგანიზაციების შესახებ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადებულ სტატიაში

შემდგომი სასარგებლო რჩევები ლიტერატურის მიმოხილვაზე შეგვიძლია მივიღოთ ორგანიზაციების თვისებრივი კვლევის შედეგების ამსახველი სტატიებიდან. გოლდენ-ბიდლი და ლოკი (Golden-Biddle and Locke (1993, 1997)) ამტკიცებენ, რომ ამ სფეროში კარგი სტატია ავითარებს ისტორიას, რომელიც არის მკაფიო და მყარი ჩარჩო, რომლის გარშემოც სტრუქტურირდება ნაშრომი. ეს იდეა მეტად შეესაბამება ვოლკოტის (Wolcott 1990a: 18) რეკომენდაციას, რომლის მიხედვით „მნიშვნელოვანია განსაზღვროთ ის ძირითადი მოთხრობა, რომლის მოყოლასაც აპირებთ.“ გოლდენ-ბიდლი და ლოკი ასევე აღნიშნავენ, რომ ავტორის დამოკიდებულება ლიტერატურასთან ასევე არის მოთხრობის მოყოლის ნაწილი. ისინი ლიტერატურის მიმოხილვის ფორმირების ორ პროცესს გამოყოფენ:

1. ინტერტექსტუალური ურთიერთშეთანხმების კონსტრუირება. ეს ეხება იმ გზას, თუ როგორ მოხდება არსებული ცოდნის წარმოდგენა და ორგანიზება; ავტორი აჩვენებს, როგორ შესაბამისობაშია ერთმანეთთან სხვადასხვა ლიტერატურა და როგორაა კვლევაში გადმოცემული. აქ გამოყენებული ტექნიკებია:
   - ზოგადად, ერთმანეთთან დაუკავშირებელი შრომების **სინთეზირებული ურთიერთშეთანხმებულობა;** თეორია და კვლევა, რომელიც ადრე დაუკავშირებლად მიიჩნეოდა, ახლა შეკავშირებულად არის წარმოდგენილი. ამისათვის არსებობს ორი თვალსაჩინო ფორმა: ა) ძალიან შეუთავსებელი წყაროები (მისი ნაწილები) ორგანიზებული და შეკრულია; ბ) არს გავრცელებული თეორიების ან კვლევის პროგრამების ურთიერთდაკავშირებიც მცდელობა.
   - **პროგრესული ურთერთშეთანხმებულობა** აერთიანებს ნაშრომებსა და პოზიციებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი კონსენსუსი ადრეც არსებობდა.
   - **არაურთიერთშეთანხმებულობა** კი აღიარებს, რომ მოცემული კვლევის პროგრამის შესახებ არსებობდა ბევრი ნაშრომი, და მათ შორის არის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა.

   ნებისმიერი ეს სტრატეგია ისე არის შემუშავებული, რომ ტოვებს ადგილს ახალი ნაშრომისათვის.

2. სიტუაციის პრობლემატიზირება. ამ შემთხვევაში ლიტერატურა გვეხმარება პრობლემის ჩამოყალიბებაში. აქ კი შემდეგი ტექნიკები გამოიყენება:
   - დაუსრულებლობა. არსებული ლიტერატურა არ არის სრულყოფილი, ამომწურავი, მათ შორის არის ცარიელი ინტერვალი;
   - არაადეკვატურობა: ჩვენი კვლევითი ინტერესების სფეროზე არსებულმა ლიტერატურამ უყურადღებოდ დატოვა მასზე დაკვირვების გზები, რომელთა პოვნამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საკვლევი ფენომენის გაგება.

ამ შემთხვევაში შეიძლება ალტერნატიული პერსპექტივების ან ჩარჩოების შეთავაზება;

- არაკომპეტენტურობა: ის ამტკიცებს ალტერნატიულ პერსპექტივას, რომელიც არსებულ ლიტერატურაზე უკეთესია. ის განსხვავდება 'არაადეკვატური პრობლემატიზირებისაგან' იმით, რომ ის არსებულ ლიტერატურას როგორც არასწორს ისე წარმოაჩენს.

გოლდენ-ბიდელისა და ლოკის ანგარიშის საკვანძო წერტილი არის ის, რომ ის წარმოაჩენს სხვადასხვა მიზნებს, რომელთა მიღწევაც ავტორებს ლიტერატურის მიმოხილვით უნდათ:

- კვლევის სფეროში შექმნილი ცნობილი ნაშრომების მიმოხილვით ავტორები ახდენენ მათი კომპეტენციების დემონსტრირებას;
- ისინი შეიმუშავებენ ლიტერატურის მიმოხილვის საკუთარ ვერიას ისე, რომ აჩვენონ, რა წვლილს შეიტანს მათი სტატია ამ კუთხით;
- ლიტერატურის მიმოხილვით ხდება იმ ჩავარდნის ან პრობლემის იდენტიფიცირება, რომელ საკითხზეც აქვს ავტორს კვლევის კითხვა.

ლიტერატურის მიმოხილვის, როგორც მოთხრობის ნაწილის მოყოლა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ეს ნაწილი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს დანარჩენ ტექსტს (ემპირიულ ნაწილებს) და არ უნდა იყოს გამოცალკევებული ერთიანი ტექსტიდან.

ჩანართი #2: რას ეძებენ შემფასებლები ლიტერატურის მიმოხილვაში?

ჰოლბრუკმა და სხვა ავტორებმა განახორციელეს სადოქტორო ნამუშევრების შეფასებების ანალიზი. სულ გააანალიზეს 1310 შეფასება, რომელიც 501 სადოქტორო ნაშრომზე დაიწერა ავსტრალიაში (იქ სადოქტორო ნაშრომს მინიმუმ 2 შემფასებელი ჰყავს). შეფასებების წარმოდგენა სადოქტორო ხარისხის მინიჭების პროცესის აუცილებელი ნაწილია. შეფასების ტექსტში შემფასებლები ყოველთვის თუ არა ხშირად აკეთებენ აქცენტს ლიტერატურის მიმოხილვაზე. ლიტერატურის მიმოხილვის მათეული კრიტიკა ასევე მიემართება ნებისმიერ საგანმანათლებლო საფეხურისა თუ ფორმის სამეცნიერო ნაშრომის მიმართ არსებულ მოთხოვნებს.

შეფასებები გაანალიზდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული პროგრამით. ანალიზმა აჩვენა, რომ ლიტერატურის მიმოხილვის შესახებ ძირითადად სამი სახის კრიტიკა არსებობს:

1. ლიტერატურის ყოვლისმომცველობის შესახებ კომენტარი. ყველაზე ხშირად შემფასებლები აკრიტიკებდნენ დოქტორანტებს, რომ მათ ვერ შეძლეს შესასწავლის სფეროს გარშემო არსებული უზღვავი ლიტერატურის მოცვა;

2. შეცდომების იდენტიფიცირება. ეს კომენტარები უფრო ტექნიკური სახისაა და მიემართება ისეთ შეცდომებს, როგორებიცაა ბიბლიოგრაფიიდან წყაროს გამოტოვება, წყაროს არასწორად მითითება, ციტირებისა და წყაროს შეუსაბამობა.
3. ლიტერატურის გამოყენების შესახებ კომენტარები. მართალია ამ ტიპის კომენტარები ყველაზე იშვიათია, მაგრამ ჰოლბრუკისათვის ის ყველაზე საინტერესოა გასაანალიზებლად. ავტორმა ის რამდენიმე ქვეკატეგორიად დაყო:
    - არის თუ არა ლიტერატურა გამოყენებული არგუმენტის განსავითარებლად ან არგუმენტის განსამტკიცებლად?
    - იცნობთ თუ არა ზედმიწევნით ლიტერატურას?
    - არის თუ არა ლიტერატურა კრიტიკულად შეფასებული? (ლიტერატურის კრიტიკულ შეფასებას იდეალურ შემთხვევაში მივყავართ საინტერესო ახალ პერსპექტივამდე);
    - არის თუ არა ლიტერატურა და მიგნებები ურთიერთდაკავშირებული?
    - ლიტერატურის დისციპლინური კონტექსტი არის თუ არა საკმარისად შეფასებული?

ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ აჯამებენ ლიტერატურას უბრალოდ იმიტომ, რომ მათ იციან, რომ ლიტერატურა უნდა მიმოიხილონ. ამის ნაცვლად კი შემფასებლები ეძებენ მტკიცებულებას, რომ დოქტორობის კანდიდატები გამოიყენებენ ლიტერატურას არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად, დაუკავშირებენ ლიტერატურას მათ კვლევის შედეგებს ან ჩამოიყალიბებენ გარკვეულ პოზიციას საკვლევ თემაზე. თუმცა ცხადია, რომ შემფასებლები ყველაზე ხშირად მიუთითებენ ლიტერატურის არასრულყოფილად დაფარვაზე, ვიდრე ლიტერატურის მიმოხილვის უფრო შინაარსიან გამოყენებაზე.

ჩანართი #3: ნარატიულ მიმოხილვაში სისტემატური მიმოხილვის პროცედურების შემოტანა

მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურ მიმოხილვას ხშირად აკრიტიკებენ მისი მექანიკური მიდგომების გამო, ის მაინც ინარჩუნებს გამჭვირვალობის და ყოვლისმომცველობის მახასიათებელს მისი განხორციელების პროცესში გამოყენებული ტექნიკებისა და პროცედურების წყალობით. ნარატიული მიმოხილვის ნაკლოვანებების შესამცირებლად სისტემატური მიმოხილვის პროცედურების ინკორპორირება ნარატიულ მიმოხილვაში ამ ფორმით ვცადე:

- მიმოხილვისას გამოვიყენე მკაფიოდ ფორმულირებული კვლევითი კითხვა. მაგალითად, კითხვა იყო ასეთი: „უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში რა სტილის ან მიდგომების მქონე ლიდერობა ითვლება ეფექტიანად?“
- ლიტერატურის მოძიების პროცედურები დავაკონკრეტე, ისე რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი რეპლიკაცია (განმეორებით გამოყენება). განვსაზღვრე საკვანძო ტერმინების სხვადასხვა კომბინაცია, განვსაზღვრე ელექტრონული ბაზები, რომელშიც მოვიძიებდი ლიტერატურას, განვსაზღვრე ხელით ძებნისას გამოყენებული საკვანძო

ტერმინები. მაგალითად საკვანძო ტერმინები იყო: ლიდერ*, მენეჯერ*, ადმინიტრატორ* კომბინაციაში უმაღლესი განათლებ“, უნივერსიტეტ*, აკადემიურ“, ეფექტიან“.

- განვსაზღვრე შეფასების კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ვწყვეტდი, უნდა ყოფილიყო თუ არა სტატია მიმოხილვის ნაწილი. ხარისხის შეფასების კრიტერიუმები ამ შემთხვევაში იყო შემდეგი: „კვლევის მიზანი იყო ნათლად ფორმულირებული,“ „ემპირიული მონაცემების შეგროვების გზები იყო მკაფიოდ განსაზღვრული (შერჩევა, კვლევის ინსტრუმენტი, მონაცემთა ანალიზი და სხვ.),“ „ახსნილი იყო, როგორ უკავშირდებოდა კვლევის მეთოდი კვლევის მიზნებს,“ „საკმარისი ინფორმაცია იყო ინტერპრეტაციის განსახორციელებლად“ და „ასახული იყო ანალიზის მეთოდი.“ ამ შეფასების კრიტერიუმების და ჩემს კველვის კითხვასთან შესაბამისობის მიხედვით მოძიებული ასობით სტატიიდან მხოლოდ 20 სტატია დამრჩა.
- შედეგების ასახვისათვის გამოვიყენე ცხრილი: ეფექტიანად მიჩნეული ლიდერობის ტიპები ავსახე ცხრილში თითოეული სტატიის მითითებით, სადაც მოხდა ამა თუ იმ მახასიათებლის იდენტიფიცირება.

ჩემ მიერ განხორციელებული მიმოხილვა არ იყო სისტემატური, რადგან ჩემ მიერ გააანალიზებული სტატიები მხოლოდ მაღალრეიტინგული ჟურნალებიდან იყო, მე არ დამიფარავს ე.წ. „რუხი ლიტერატურა“ და ის არ იყო მეტა ანალიზი, სადაც რაოდენობრივ მიდგომებს გამოვიყენებდი. სტატიების დიდი ნაწილი არ შევიტანე ლიტერატურის მიმოხილვაში, რადგან ისინი არ შეესაბამებოდნენ ჩემს კვლევის კითხვას და არა იმიტომ, რომ არ შეესაბამებოდნენ შეფასების კრიტერიუმებს.

ჩანართი #4: რატომ უნდა დავწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ის მიზეზები, თუ რატომ უნდა დავწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა:

- თქვენ უნდა იცოდეთ, რა არის სამეცნიერო წრეებისთვის უკვე ცნობილი თქვენი კვლევის თემის გარშემო, რადგან არ დაგბრალდეთ ბორბლის ხელახლა გამოგონება;
- თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ სხვის შეცდომებზე და არ გაიმეოროთ ისინი;
- თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ თქვენი კვლევის სფეროსთან მიმართებაში სხვების მიერ გამოყენებულ თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები;
- ეს შეიძლება დაგეხმაროთ თქვენი ანალიტიკური ჩარჩოს ჩამოყალიბებაში;
- ის შეიძლება დაგეხმაროთ თქვენს კვლევაში ახალი ცვლადების შემოტანაში, რომლებზეც შეიძლება თქვენ მანამდე არც გიფიქრიათ;
- ის შეიძლება დაგეხმაროთ ახალი კვლევითი კითხვების ფორმულირებაში;
- ის შეიძლება დაგეხმაროთ მიღებული ემპირიული შედეგების ინტერპრეტაციაში;
- მან შეიძლება შემოგთავაზოთ გარკვეული რგოლები (საყრდენი), რომელზეც დაკიდებთ (რომელზეც დაამყარებთ) თქვენს მიგნებებს.
- თქვენ უნდა მიმოიხილოთ ლიტერატურა უბრალოდ იმიტომ, რომ თქვენგან ამას ითხოვენ!